თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2026 წლის 6 მაისის
მორიგი სხდომის
ოქმი № 8

ქ. თერჯოლა 6 მაისი 2026 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: 1.სოსო ჩაფიჩაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. სერგი ჯიხვაშვილი, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. გიორგი ბარათაშვილი, 7. ბადრი ბუცხრიკიძე, 8. ბიძინა ბუცხრიკიძე, 9. ნინო ოქრუაძე, 10. ზურაბ ჩხიკვაძე, 11. ლაშა ლანჩავა, 12. ეკა ბერძენიშვილი, 13. ომარ ჯიხვაშვილი , 14. ლაშა გურგენიძე, 15. ნინო მახათაძე, 16. მაკა ყიფშიძე, 17. გიორგი ბრეგაძე, 18.ნოდარი ხოხიაშვილი, 19.გიორგი თურქაძე, 20.ერეკლე კირკიტაძე, 21. გრიგოლ გიორგაძე, 22. მამული კოვზირიძე, 23. გიორგი ყაზაიშვილი, 24.გიორგი ქასრაშვილი, 25.რამაზი ლორთქიფანიძე, 26. მირზა აფრიდონიძე, 27.მანუჩარ ფანჩულიძე, 28.გიორგი ბერეკაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1.თემური ქოჩიაშვილი, 2.ნატო კვეტენაძე, 3.ჯანო რობაქიძე, 4.ელისო მურადაშვილი, 5. იუზა უგრეხელიძე, 6.შალვა ჭანკვეტაძე, 7.ვლადიმერ მაკარიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 35 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 35 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 28 წევრი
კვორუმი: 18 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - მირზა ქოჩიაშვილი;
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-ავთანდილ ურიადმყოფელი.

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ⁵⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282612459, 04.05.2026წ.):

მომხს.: ზ. ჩხიკვაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282611912, 29.04.2026წ.);

მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ.№109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის (ქირა) ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2826124105, 04.05.2026 წ.);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩხიკვაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიუციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.
ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 134.3 ათასი ლარით და შეადგენს 35980.9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 134.3 ათასი ლარით (გრანტი).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 134.3 ათასი ლარით. მ/შორის:
გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდა 84.3 ათასი ლარით (სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია).
საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 50.0 ათასი ლარით (სტიქიით დაზიანმებული ოჯახის კომპენსაცია).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-28, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიუციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 დეკემბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №50, 06/05/2026წ.).

2.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჩხიკვაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნეს მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია.

3.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ.№109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის (ქირა) ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ.№109-ში მდებარე მერიის შენობაში (ს.კ. 33.09.949) არსებული 40 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარის (ქირა) ფორმით, 2(ორი) წლის ვადით გასხვისებაზე) განკარგულების პროექტი (განკარგულება №29.2926126001, 06/05/2026წ.).

4.
მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბიძინა ბუცხრიკიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო ..თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგნილების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -28, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ დადგნილების პროექტი (დადგნილება №49, 06/05/2026წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, სოსო ჩაფიჩაძემ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 6 მაისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
სოსო ჩაფიჩაძე

საქართველო. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA. TERJOLA MUNICIPALITY COMMUNITY COUNCIL
* 231946623 *